



ASB საქართველო & სომხეთი

წლიური ანგარიში

2025

Wir helfen
hier und
jetzt.









WWW.ASB.GE

მადლობა ჩვენს დონორებს:







ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს ოფისი

-  ვ. დოლიძის 2, თბილისი, საქართველო
-  info@asb.ge
-  ASB Georgia
-  asbgeorgia
-  ASB Georgia
-  @asbgeorgia

სომხეთის ოფისი

-  კიევიანის ქუჩა 16, მე-9 სართული,
ერევანი, სომხეთი
-  info@asb-armenia.org
-  ASB Armenia
-  www.asb.am

სარჩევი:

ვინ ვართ ჩვენ?	4
2025 წლის მიმოხილვა	5
RISE საქართველო	7
ქალებისა და გოგონების მხარდასაჭერი კამპანიები	9
SEGI - სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია	12
ფულადი დახმარება და ზრუნვა	14
ELSI	16
ერთად შევძლებთ	17
საქართველოს სამართელთა კავშირი (სსკ)	18



ვინ ვართ ჩვენ?

ჩვენ ვართ ორგანიზაცია, სახელწოდებით არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი, თუმცა, ხშირად **ASB-ს** გვინოდებენ. ვართ გერმანიიდან და გვაქვს საქმიანობის ხანგრძლივი, კონკრეტულად კი 134-წლიანი, ისტორია. საქართველოში საქმიანობა 90-იანი წლებიდან დავიწყეთ. ვასრულებდით ჰუმანიტარული დახმარების მისიას ომისა და სიღარიბის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის. 1997 წლამდე **34 000-ზე** მეტ ადამიანს დავეხმარეთ, რა მიზნითაც ორგანიზაციის მხრიდან **7 500 000** ევროზე მეტი დაიხარჯა.

2010 წელს საქართველოში ისევ დავბრუნდით. ამჟამად სამი ძირითადი მიმართულებით ვმუშაობთ: **ჰუმანიტარული რეაგირება; სოციალური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; მედეგობის გაძლიერება.** ასევე, ჩვენ მხარს ვუჭერთ „საქართველოს სამარიტელთა კავშირს“ (სსკ).

2010 წლიდან ASB-მ 40 პროექტი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც **14 771 583 ევრო** დაიხარჯა საქართველოში და **5 216 230** - სომხეთში. მთლიანობაში საქართველოს მასშტაბით **784 370** და სომხეთში **15 164** ადამიანს გავუწიეთ დახმარება.

ჩვენ ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, ჰუმანიტარულ დახმარებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, კონფლიქტით დაყოფილ თემებს შორის ნდობის გაჩენას, დევნილების, ლტოლვილებისა და მიგრანტების მხარდაჭერას, სამოქალაქო ჩართულობას სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში და ქალთა გაძლიერებას.

2025 წელს ჩვენ განვახორციელოთ შემდეგი პროექტები:

RISE საქართველო – უთანასწორობის შემცირება და კრიზისში მყოფ ქალთა მხარდაჭერის გაძლიერება

SEGI: სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია

ფულადი დახმარება და ზრუნვა

ELSI - ლტოლვილებისა და მასპინძელი თემების გაძლიერება: დასაქმების გაუმჯობესება და მდგრადი ინტეგრაციის აქტიური მხარდაჭერა

“ერთად შევძლებთ” - თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას საქართველოსა და სომხეთში

ჩვენი დონორები და პარტნიორები

- ავსტრიის რესპუბლიკის სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, ზრუნვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო;
- ავსტრიის საერთაშორისო პარტნიორობა;
- ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო პარტნიორობები (MIA);
- “Aktion Deutschland Hilft” (ADH);
- გავერთიანდეთ ერთად (UT);
- ევროკავშირის ჰუმანიტარული დახმარებისა და სამოქალაქო დაცვის გენერალური დირექტორატი (EU DG ECHO);
- გერმანიის ფედერალური საგარეო უწყება (GFFO);
- გერმანიის ფედერალური ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო (BMZ);
- საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ)
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სომხეთის საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- “Surb Grigor Lusavorich”;
- “Mission Armenia” (MA).

2025 წლის მიმოხილვა: სტაბილურობა, ღირსება, იმედი

ძვირფასო პარტნიორებო, კოლეგებო და მეგობრებო,

2025 წელს ღრმა მადლიერებით ვიხსენებთ და ვამაყობთ საქართველოსა და სომხეთში ჩვენი მიღწევებით.

გასულმა წელმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ჰუმანიტარული და განვითარების სფეროში მუშაობა არასდროს არის სტატიკური. ადამიანები კვლავაც აწყდებიან კომპლექსურ გამოწვევებს: იძულებით გადაადგილებას, ეკონომიკურ გაურკვევლობას, თავდაცვის რისკებსა და მზარდ საჭიროებებს ბავშვების, ქალებისა და მოწყვლადი ოჯახებისთვის. ამავე დროს, ჩვენ დავინახეთ განსაკუთრებული გამძლეობა, სოლიდარობა და მონდომება იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ვემსახურებით, ჩვენი გუნდის წევრებისა და პარტნიორებისგან.



2025 წლის განმავლობაში ASB საქართველო და სომხეთი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, ორგანიზაციებთან, სკოლებთან, სათემო ჯგუფებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა უზრუნველყოთ პრაქტიკული, ადამიანზე ორიენტირებული მხარდაჭერა, იქნებოდა ეს საარსებო წყაროების გაძლიერება და დაბრუნებულთა მხარდაჭერა, ბავშვთა დაცვა, განათლება, ფსიქოსოციალური დახმარება, კატასტროფებისთვის მზადყოფნა თუ ქალთა გაძლიერების ხელშეწყობა, ჩვენი პროგრამები ერთ ნათელ მიზანზე იყო მიმართული: ადამიანებსა და თემებს სტაბილურობა, ღირსება და მომავლის იმედი დაებრუნებინათ.

2025 წელი ასევე მნიშვნელოვანი იყო სწავლებისა და გაძლიერებისთვის. ჩვენ გავაუმჯობესეთ კოორდინაცია ქვეყნის ოფისებს შორის, დავხვეწეთ მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების სისტემები და ყურადღება გავამახვილეთ ხარისხზე, დაცვის მექანიზმებსა და გრძელვადიან შედეგებზე. ეს ყოველივე დაგვეხმარება უფრო ძლიერ და საფუძვლიან სამომავლო საქმიანობის განხორციელებაში.

წლიური ანგარიში წარმოადგენს ამ გზის მოკლე მიმოხილვას. ჩვენს მიღწევებს, გამომწვევებსა და იმ უამრავ ადამიანს, რომელთა ცხოვრებაც ჩვენი საქმიანობით შეიცვალა. თითოეული სტატისტიკის უკან დგას პირადი ისტორია: ბავშვი, რომელიც სწავლას დაუბრუნდა; ოჯახი, რომელმაც ხელახლა აღადგინა საარსებო წყარო; ქალი, რომელმაც თავდაჯერება შეიძინა; ან თემი, რომელიც უკეთ არის მომზადებული მომავალი რისკებისთვის.

სამომავლოდ ჩვენ კვლავ ვრჩებით ერთგულნი პარტნიორობის, გამჭვირვალობისა და მუდმივი გაუმჯობესების პრინციპებისადმი. ერთად გავაგრძელებთ მუშაობას სამხრეთ კავკასიაში ინკლუზიური და მდგრადი თემების შესაქმნელად. გმადლობთ, რომ ამ გზას ჩვენთან ერთად გადიხართ.

საუკეთესო სურვილებით,
ASB-ს დირექტორი საქართველოსა და სომხეთში, კლემენს ფონ ჰაიმენდალი.



სტრატეგიული შეხვედრა 2025



← დაასკანავე და შეიტყვი მეტი ASB საქართველოს შესახებ



კრიზისში მყოფი ქალებისა და გოგონების მხარდაჭერა



უთანასწორობის შემცირება და კრიზისში მყოფ ქალთა მხარდაჭერის გაძლიერება

პროექტის მიხედვით, ჩვენი უმთავრესი მიზანია, სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერით, კრიზისში მყოფი ქალებისა და გოგონების გაძლიერება. პროექტის მონაწილეები არიან: ქალისა და კაცის მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები, იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) და მიგრანტები.



2025 წლის განმავლობაში პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით, ასევე, ქალთა გაძლიერებასა და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მხარდაჭერაში.

პროექტი, კონსულტაციების, ფსიქოსოციალური დახმარების, ტრენინგებისა და სათემო მობილიზაციის მეშვეობით, 830-ზე მეტ ბენეფიციარს დაეხმარა, ხოლო ცნობიერების ამაღლების კამპანიების საშუალებით ამ რიცხვმა დამატებით 21 680 ადამიანს მიაღწია.

პროექტის გავლენა საქართველოში ორმხრივი იყო: ერთი მხრივ, გაძლიერდა ინსტიტუციური თანამშრომლობა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმებისა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობის გზით; მეორე მხრივ, ცვლილება დამკვიდრდა სათემო დონეზე თვითდახმარების ჯგუფების (SHG), საკონსულტაციო ცენტრებისა და მიზნობრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით. ასეთი მრავალდონიანი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ პრევენცია, დაცვა და გაძლიერება არ იყოს მხოლოდ დროებითი ჩარევა, არამედ მყარად ინტეგრირდეს ადგილობრივ სისტემებსა და სათემო პრაქტიკაში.

პროექტის დონორი: ავსტრიის რესპუბლიკის სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, ზრუნვისა და მომხმარებელთა დაცვის ფედერალური სამინისტრო
პროექტის ხანგრძლივობა: 2024 - 2026
პროექტის მდებარეობა: აჭარა, სამეგრელო, გურია

მთავარი მიღწევები:

- საქართველოს სამ რეგიონში ჩამოყალიბდა 30 თვითდახმარების ჯგუფი, რათა ძალადობა გამოვლილ, ასევე მოწყვლად ქალებს ჰქონოდათ უსაფრთხო სივრცე და ლიდერობის შესაძლებლობა.
- ჩატარდა ტრენინგთა მომზადების 9-დღიანი პროგრამა მრავალდისციპლინური ჯგუფებისთვის, მონაწილეების 100%-იანი წარმატებით.
- 88 ქალსა და გოგონას ჩაუტარდა პიროვნული განვითარების ტრენინგები, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა მათი ცოდნის დონე და თვითდაჯერებულობა.
- გაიმართა სამი ქსელური შეხვედრა, რომლებმაც ერთმანეთთან დააკავშირა ადგილობრივი დამსაქმებლები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და სათემო აქტორები ძალადობის პრევენციისა და ეკონომიკური გაძლიერების კოორდინაციისთვის.
- პროექტის მდგრადობისა და ხილვადობის უზრუნველსაყოფად გაფორმდა ოფიციალური თანამშრომლობის შეთანხმებები ნალენჯიხისა და სენაკის მუნიციპალიტეტებთან.

ნათიას მოგზაურობა RISE-სთან ერთად



„ვამაყობ, რომ შემიძლია კრიზისში მყოფ ქალებს დავეხმარო“, - ამბობს 34 წლის ნათია. ის სამი შვილის დედა და პატარა სილამაზის სალონის ამაყი მეპატრონეა. ნათია თავდაჯერებულად მართავს საკუთარ ბიზნესს, თუმცა გზა, რომელიც მან გაიარა მარტივი არ ყოფილა. სიძნელების შემდეგ მან შეძლო ცხოვრების ახლიდან დაწყება.

ASB-ის მიმდინარე პროექტით - „RISE საქართველო“ ნათიამ საკუთარი თავის კიდევ უფრო ირწმუნა. პროექტის ფარგლებში ნათიამ ფსიქოლოგის მხარდაჭერით ისარგებლა, „ამან ძალა მომცა, ისევ დამეჯერებინა საკუთარი თავისთვის“, - ამბობს ის.

გარდა ამისა, მან მონაწილეობა მიიღო კრიზისული კომუნიკაციის ოთხდღიან ტრენინგში, სადაც ისწავლა, როგორ გაუმკლავდეს რთულ სიტუაციებს და როგორ დაამყაროს ეფექტიანი კომუნიკაცია. „ეს მხოლოდ ტრენინგი არ იყო. ტრენინგი დამეხმარა, გავმხდარიყავი უფრო თავდაჯერებული და მესწავლა სწორი კომუნიკაცია სხვა ადამიანებთან“- ამბობს ის.

ტრენინგის მეშვეობით, ნათიამ ახალი მეგობრები შეიძინა, ახლა კი ცდილობს, სხვა ქალებს დაეხმაროს. ერთ-ერთი მისი მოსწავლე, რომელიც ASB-ის ტრენინგზე გაიცნო, მარტოხელა დედაა მძიმე სოციალური საცხოვრებელი პირობებით. მას ნათია საკუთარ სალონში წამწამების დაგრძელების პროცედურას ასწავლის. „ამ მიმართულებით მის ქალაქში არავინ მუშაობს, ამიტომ ვფიქრობ რომ დასაქმება არ გაუჭირდება“- გვეუბნება ნათია და ამატებს: „მინდა რეალური შესაძლებლობა მივცე“.



ნათია კარგი მაგალითია ASB-ის ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო კამპანიის “მე ვამაყობ, რომ...”. კამპანია დასავლეთ საქართველოში ქალთა გაძლიერებაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს ქალების ინფორმირებას, გააქტიურებასა და ერთმანეთის მხარდაჭერის გაძლიერებას.

კრიზისში მყოფი ქალებისა და გოგონების მხარდასაჭერი კამპანიები

გაეროსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით, საქართველოში მცხოვრები ყოველი ოთხი ქალიდან ერთს ერთხელ მაინც გამოუვლია ფიზიკური ან სექსუალური ძალადობა. შემაშფოთებელია, რომ ამ შემთხვევების 78%-ისთვის უცნობი რჩება, ხშირ შემთხვევაში, სტიგმისა და შურისძიების შიშის გამო.¹

ASB საქართველო მხარს უჭერს კრიზისში მყოფ ქალებსა და გოგონებს და აქტიურად მუშაობს ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით. ამ მიზნის მისაღწევად 2025 წელს ცნობიერების ამაღლების შემდეგი კამპანიები განხორციელდა:



“მე ვამაყობ”

კამპანია „მე ვამაყობ“ მიზნად ისახავს ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, ასევე, კრიზისში მყოფი ქალებისა და გოგონების ინფორმირებას სიტუაციიდან გამოსავლის გზების შესახებ.

კამპანიის ფარგლებში შეიქმნა და გავრცელდა შესაბამისი ვიზუალური მასალა. მაგალითად, წარმოდგენილ ფოტო-პოსტერზე გამოსახულია ძლიერი ქალი, რომელმაც გაბედული ნაბიჯი გადადგა და ძალადობის შესახებ ინფორმაცია შესაბამის სამსახურებს მიანიჭა. მის მხერაში ასახულია როგორც სიძლიერე, ასევე გადაწყვეტილების სიმტკიცე.



ძალადობის შესახებ შეტყობინება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და გადაწყვეტი ქმედებაა, რომელიც ხელს უწყობს სიცოცხლის დაცვასა და სამართლიანობის აღდგენას. საქართველოში ძალადობის შესახებ შეტყობინება შესაძლებელია 112-ზე დარეკვის მეშვეობით. თანდართულ ბანერზე მოცემულია დამატებითი საკონტაქტო ინფორმაცია სოციალური და კრიზისული დახმარების სერვისების შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია.

¹ გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (GEOSTAT) (2017). საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა.

გოგონები ამბობენ “არას”!

კამპანია „გოგონები ამბობენ არას“ ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ემსახურება. მისი მთავარი მიზანია ხშირად უგულვებელყოფილი სოციალური პრობლემების გამოკვეთა და საზოგადოების წახალისება, რომ იმოქმედონ ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრის წინააღმდეგ.

კამპანიის ერთ-ერთი მიზანია ძალადობის მსხვერპლთათვის აუცილებელ მხარდამჭერ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ამ მიზნით, კამპანიის ფარგლებში გავრცელდა ხელმისაწვდომი რესურსების შესახებ ინფორმაცია, როგორებიცაა: ცხელი ხაზები, ფსიქოლოგიური კონსულტაციის სერვისები და უსაფრთხო თავშესაფრები. კამპანია უბრუნველყოფს, რომ დახმარების საჭიროების მქონე ადამიანებმა შეძლონ მხარდაჭერის მიღება, ძალადობრივი გარემოდან გამოსვლა და საკუთარი ცხოვრების ხელახლა წარმართვა.

კამპანიის მაქსიმალური გავრცელებისა და გავლენის უბრუნველსაყოფად, მისი გზავნილები აქტიურად გავრცელდა სოციალური მედიის პლატფორმებზე. გარდა ამისა, ვიზუალურად გამორჩეული პოსტერები თბილისში და ზუგდიდში 1040 ავტობუსებზე განთავსდა, რაც ყოველდღიურ გარემოში საზოგადოების ყურადღებას იპყრობს და კამპანიის გზავნილებს კიდევ უფრო ამყარებს.



“მაგრამ, მიყვარდი”

კამპანია “მაგრამ, მიყვარდი” მიზნად ისახავს ქალისა და კაცის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას საქართველოს მოსახლეობასა და ქვეყანაში მცხოვრებ უკრაინელ ლტოლვილებს შორის. კამპანია ქმნის მხარდამჭერ გარემოს, სადაც მსხვერპლს შეუძლია ძალადობაზე საუბარი, დახმარების მიღება და მნიშვნელოვანი რესურსების პოვნა.

კამპანია ხაზს უსვამს, რომ ძალადობა არ არის სიყვარული და ის კანონსაწინააღმდეგოა, ამასთანავე, მოუწოდებს დამოკიდებულებების შეცვლისა და პოზიტიური ქცევის ფორმირებისკენ.





უკრაინელი ლტოლვილების ინტეგრაცია





SEGI – სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია

პარტნიორ ორგანიზაციებთან, UT და სსკ, თანამშრომლობით, ჩვენ ვახორციელებთ პროექტს “SEGI: სპორტი, განათლება, გენდერი და ინფორმაცია”. პროექტის მიზანია საქართველოში მცხოვრებ უკრაინელებზე სასიკეთო გავლენის მოხდენა.



პროექტის ფარგლებში ტარდება საგანმანათლებლო, სპორტული და სხვა აქტივობები, რომლებიც სპეციალურად შექმნილია ბავშვებისთვის, ქალებისა და ხანდაზმულებისთვის. ეს აქტივობები ხელს უწყობს არა მხოლოდ მათ ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას, არამედ უზრუნველყოფს მათ ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

2025 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უფასო ონლაინ ტრენინგებს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. აღნიშნული ტრენინგები მოიცავდა ქართული ენის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მათემატიკისა და სხვა აკადემიურ გაკვეთილებს.

პროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ქალისა და კაცის მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის ცნობიერების ამაღლება და რეფერირების მექანიზმების ჩამოყალიბება. ამ მიზნით, „იმედის კერა“ ქალბატონებსა და გოგონებს უსფრთხო, კონფიდენციალურ და მხარდამჭერ გარემოს უქმნის. ცენტრის მიზანია მსხვერპლთა მხარდაჭერა სხვადასხვა სახის დახმარებითა და საჭირო სერვისებზე ინფორმაციის მიწოდებით.

პროექტის დონორი: Aktion Deutschland Hilft
პროექტის ხანგრძლივობა: 2024 – 2026
პროექტის მდებარეობა: თბილისი, ქუთაისი და ბათუმი

მთავარი მიღწევები:

- ჩატარდა 1,500 საგანმანათლებლო, სპორტული და რეკრეაციული გაკვეთილი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1 113 უკრაინელმა.
- ბათუმში შეიქმნა ცენტრი, რომელმაც მომსახურება გაუწია 342 ბენეფიციარს და ცენტრის თანამშრომლებისთვის სპეციალიზებული სასწავლო მოდულები შემუშავდა.
- დაიწყო გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია.
- ბავშვებისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო, სპორტული და გასართობი ღონისძიებები.

განათლება და მეგობრობა: მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკრაინელი ბავშვების ინტეგრაციისთვის საქართველოში


„ჩემი შვილები ASB-ის უფასო ონლაინ სასწავლო კლასებს ესწრებიან, ეს მათ ძალიან ეხმარება სასწავლო პროცესში და ძალიან მოსწონთ კიდეც. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა განიტვირთონ მეგობრებთან ერთად. ASB-ის საბავშვო ღონისძიებებზე ისინი იცნობენ ქართველ თანატოლებს, რაც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“ - ამბობს ოქსანა, 8 წლის იანასა და 12 წლის იაროსლავის დედა.



ოქსანა და მისი შვილები ხერსონიდან, უკრაინიდან, 2022 წელს გამოექცნენ ომს და უკვე 3 წელზე მეტია თბილისის გარეუბანში ცხოვრობენ.

იანა და იაროსლავი თბილისის სკოლაში უკრაინულ სექტორში სწავლობენ. იანა მესამე კლასშია, იაროსლავი კი - მეშვიდეში. ორივეს უყვარს სკოლა, მათ უკვე ბევრი მეგობარი ჰყავთ. 5 თვეა, რაც დამატებით ASB-ის ონლაინ კლასებსაც ესწრებიან და სწავლობენ ინგლისურს.

„ძალიან ბევრი მეგობარი მყავს“ - ამბობს იაროსლავი ღიმილიანი სახით. „ASB-ის ინგლისურის გაკვეთილები მხიარულია, მასწავლებელი საინტერესო ფაქტებს გვიყვება და გვეხმარება ენის შესწავლაში. ატმოსფერო მეგობრულია და მე ძალიან მომწონს ჩემს მეგობრებთან ერთად სწავლა“.



იანა, მისი პატარა და, ძმას ეთანხმება და ამბობს: „ვისწავლე ბევრი ახალი ინგლისური სიტყვა, რაც ადრე არ ვიცოდი. ჩვენი მასწავლებელი ძალიან კეთილია, არასოდეს ბრაზდება და ყველაფერს მოთმინებით გვიხსნის“.

მოზარდები აქტიურად მონაწილეობენ ASB-ის საბავშვო ღონისძიებებშიც, რომლებიც მზიურისა და კიკვიძის პარკებში ჩატარდა. მხიარული აქტივობების მეშვეობით ბავშვები სხვა თანატოლებს უახლოვდებიან. იაროსლავს ქართველი მეგობრებიც ჰყავს: „მე მყავს ქართველი მეგობრებიც. ფეხბურთს ვთამაშობთ ერთად. მე უკრაინულ სექტორში ვსწავლობ, ხოლო ჩემი მეგობარი - ქართულში. ვსწავლობ ქართულს, მან რუსული იცის, ასე ვახერხებთ ურთიერთობას“.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში ASB-ის უფასო ონლაინ გაკვეთილები 700-ზე მეტ მოსწავლეს განვითარებასა და წარმატების მიღწევაში დაეხმარა.



ფულადი დახმარება და ზრუნვა

პროექტის ფარგლებში, ჩვენ მიზნად დავისახეთ უკრაინის ომის შედეგად დაზარალებული ყველაზე დაუცველი პირებისთვის მრავალმიზნობრივი ფულადი (MPC) და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის (PSS) უზრუნველყოფა, ამ გზით მათი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და, საქართველოში ყოფნის დროს, ახალ გარემოსთან ადაპტაცია შევძელით.

პროექტის ბენეფიციარები საქართველოში მცხოვრები უკრაინის მოქალაქეები არიან, რომლებიც შემდეგ მონაცვლად ჯგუფებს მიეკუთვნებიან:

- ა) ოჯახები, რომელთა წევრები არიან შშმ პირები;
- ბ) ოჯახები, რომელთა წევრები არიან ხანდაზმულები (60+);
- გ) ოჯახები, რომელთა წევრები არიან ბავშვები (3 შვილზე მეტი);
- დ) ოჯახები მარტოხელა დედებით, მამებით ან მომვლელებით.



პროექტი ასევე მოიცავს “გამოზამთრების” პროგრამის კომპონენტს, რომლის მიზანია ყველაზე დაუცველი ოჯახების დახმარება ზამთრის პერიოდში. 2025 წელს აღნიშნული დახმარება 100-მა ოჯახმა მიიღო, რაც მათ დაეხმარა ზამთრის პერიოდში გაზრდილი კომუნალური ხარჯების დაფარვაში.


პროექტის ფარგლებში “ჰრესნიკებს” (უკრაინელი ოჯახის დამხმარეები) შესაძლებლობების განვითარებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ფსიქოსოციალური მდგრადობის გაზრდის მიზნით ტრენინგები ჩაუტარდათ. ტრენინგები მოიცავდა: პირველად დახმარებას, დღის მოვლას, კომუნიკაციას, კონფლიქტური სიტუაციების, ემოციებისა და სტრესის მართვას, თვითრეალიზაციასა და მომავლის დაგეგმვას.

ფსიქოლოგიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად და ბენეფიციარების გასაძლიერებლად ფსიქოსოციალური მხარდაჭერის აქტივობები გნხორციელდა. 2025 წელს აღნიშნული ინდივიდუალური და ჯგუფური სესიები ყველა ასაკობრივი ჯგუფის ბენეფიციარებისთვის ჩატარდა.

პროექტის დონორი: Aktion Deutschland Hilft (ADH)
პროექტის ხანგრძლივობა: იანვარი - ივნისი 2025
პროექტის მდებარეობა: თბილისი, ქუთაისი, ბათუმი

მთავარი მიღწევები:

- გაიცა 10 200 მრავალმიზნობრივი ფულადი დახმარება, რაც დაეხმარა უკრაინულ ოჯახებს აუცილებელი საჭიროებების დაფარვაში.
- 210 ადამიანს გაენია ფსიქოსოციალური მხარდაჭერა.
- 10 თემზე დაფუძნებული “ჰრესნიკი” ჩაერთო “Cash-for-Work” პროგრამაში, რომელიც უზრუნველყოფდა სოციალურ დახმარებასა და პერსონალიზებულ მხარდაჭერას მონაცვლადი ოჯახებისთვის.
- 98.9%-მა ბენეფიციარმა გამოთქვა კმაყოფილება მიღებული ფულადი დახმარებისა და ფსიქოსოციალური მხარდაჭერის მიმართ.



ASB სომხეთში



ELSI - ლტოლვილებისა და მასპინძელი თემების გაძლიერება: დასაქმების გაუმჯობესება და მდგრადი ინტეგრაციის აქტიური მხარდაჭერა

2025 წელს, "Mission Armenia" (MA)-სთან თანამშრომლობით ახალ ინიციატივა დავიწყეთ. პროექტი ELSI, მიზნად ისხავს სომხეთში მცხოვრები მთიანი ყარაბაღიდან ლტოლვილი და მასპინძელი თემების მხარდაჭერას. მათი დასაქმების გაზრდას და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას მიზნობრივი მხარდაჭერისა და მდგრადი საარსებო შესაძლებლობების შექმნის გზით.

პროექტი ხელს უწყობს სოციალურ ჩართულობას, აძლიერებს მოწყვლადი ჯგუფების მდგრადობას და აუმჯობესებს სოციალური დაცვის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობას. „ნექსუსის“ მიდგომის გამოყენებით, პროექტი სცდება მოკლევადიან ჰუმანიტარულ დახმარებას და ხელს უწყობს გრძელვადიან, მდგრად გაძლიერებას, რაც ჰუმანიტარულ დახმარებასა და განვითარების თანამშრომლობას შორის კავშირს ქმნის.

კომპლექსური სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების საპასუხოდ და ინკლუზიური ზრდის უზრუნველსაყოფად, პროექტი ფოკუსირებულია შემდეგ მიმართულებებზე:

- პროფესიული სწავლება და უნარების განვითარება დასაქმების გასაუმჯობესებლად;
- დასაქმებისა და მენარმეობის მხარდაჭერა კარიერული კონსულტაციის, ფინანსური მიმართულებით განათლების, ტრენინგებისა და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გზით;
- ფსიქოსოციალური მხარდაჭერა კეთილდღეობისა და მდგრადობის გასაძლიერებლად;
- ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება პროფესიული განათლებისა და ტრენინგის (VET) ცენტრების, სოციალური მუშაკების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისათვის.

ძლიერი პარტნიორობებისა და მიზნობრივი ჩარევების მეშვეობით, ELSI პროექტი ხელს უწყობს უფრო ინკლუზიური მომავლის შექმნას, მხარს უჭერს მოწყვლად მოსახლეობას და აძლიერებს მდგრადობას სომხეთის მასშტაბით.



პროექტის დონორი: გერმანიის ფედერალური ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრო (BMZ)
პროექტის ხანგრძლივობა: 2025 – 2029
პროექტის ადგილმდებარეობა: სომხეთი





ერთად შევძლებთ - თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას საქართველოსა და სომხეთში

ამ პროექტით ჩვენი მიზანია კატასტროფის რისკის მართვის სისტემის გაუმჯობესება, შესაძლებლობების განვითარება და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მექანიზმების შექმნა, განსაკუთრებული აქცენტით სომხეთსა და საქართველოში საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის მიმართულებაზე. პროექტის შედეგად საქართველოსა და სომხეთში გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჯგუფები (EMTS) შეიქმნება, რომლებიც დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს და გაივლის გლობალური კლასიფიკაციის პროცესს. აღნიშნული ჯგუფები მზად იქნებიან, მხარი დაუჭირონ საქართველოსა და სომხეთის, ასევე მეზობელი ქვეყნების, ჯანდაცვის ეროვნულ სისტემებს სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს.

პროექტის დონორი: ევროკომისია (EC), ევროპის სამოქალაქო, დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატი (DG- ECHO)
პროექტის ხანგრძლივობა: 2021-2026
პროექტის მდებარეობა: საქართველო, სომხეთი



მთავარი მიღწევები:

- ჩატარდა ორწლიანი "SkyHydrant"-ის ტრენინგი საქართველოსა და სომხეთის EMT გუნდებისთვის, რამაც გააძლიერა მათი უნარები საგანგებო სიტუაციებში უსაფრთხო სასმელი წყლის უზრუნველყოფის მიმართულებით.
- ერთობლივი ტრენინგებისა და პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით გაძლიერდა რეგიონული თანამშრომლობა საქართველოსა და სომხეთის EMT გუნდებს შორის.
- საქართველოს EMT გუნდებისთვის განხორციელდა 120-საათიანი ტრენინგი ჰუმანიტარული დახმარებისა და ოპერაციული სტანდარტების შესახებ.
- WHO-ს მითითებების საფუძველზე გაუმჯობესდა EMT გუნდების ოპერაციული მზადყოფნა, რაც ქმნის საფუძველს მათი საერთაშორისო კლასიფიკაციისთვის.
- სომხეთში წარმატებით ჩატარდა სრული მასშტაბის სავარჯიშო, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა კატასტროფებზე რეაგირების შესაძლებლობები და მომზადდა საფუძველი საერთაშორისო ვერიფიკაციისთვის.

დასასაწყობო და წაიკითხეთ მეტი პროექტის შესახებ

საქართველოს სამართელთა კავშირი (სსკ)

საქართველოს სამართელთა კავშირი (სსკ)

1992 წელს ASB-ის ინიციატივით დაარსდა. 1990-იან წლებში ორი ორგანიზაცია, ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით, ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებდა. ASB-სა და სსკ-ს ახლო თანამშრომლობა დღესაც გრძელდება ერთობლივი სოციალური პროექტების სახით.

2025 წელს სსკ-მ განაგრძო მისი ინსტიტუციური შესაძლებლობის გაძლიერება და მრავალფეროვანი სოციალური, ფსიქოსოციალური და თემზე დაფუძნებული პროგრამების განხორციელება. ორგანიზაციამ, მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე და 2025-2030 წლების ახლად მიღებული სტრატეგიული გეგმის ხელმძღვანელობით, კიდევ უფრო გააუმჯობესა თავისი მმართველობის სისტემები, შიდა პოლიტიკა, ფინანსური გამჭვირვალობა და თანამშრომლების მხარდაჭერის მექანიზმები.

წლის განმავლობაში SSK-მა უზრუნველყო კომპლექსური მხარდაჭერა მონყვლადი ჯგუფებისთვის, მათ შორის მარტო მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, სხვადასხვა საჭიროებების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ან რისკის ქვეშ მყოფი ქალებისა და თემის წევრებისთვის, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის. მომსახურება მოიცავდა სახლზე დაფუძნებულ ზრუნვას, ადრეულ ინტერვენციას, ფსიქოსოციალურ კონსულტაციასა და გადამისამართების (რეფერალის) მხარდაჭერას.

პროგრამების ფარგლებში SSK-მ მნიშვნელოვანი რესურსი ჩადო პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერებაში, ზედამხედველობასა და ხარისხის უზრუნველყოფაში. აღნიშნული ძალისხმევა ასახავს ორგანიზაციის ძლიერ ინსტიტუციურ საფუძველს, მრავალწლოვან საზოგადოებრივ ნდობასა და მუდმივ ერთგულებას, უზრუნველყოს მდგრადი და ადგილობრივ საჭიროებებზე დაფუძნებული მხარდაჭერა საქართველოს მასშტაბით მონყვლადი მოსახლეობისათვის.



2025 წელს სსკ-მ წარმატებულად განახორციელა შემდეგი პროგრამები:



34 თანამშრომელი უზრუნველყოფს ინტეგრირებული სოციალური, ჯანმრთელობისა და ფსიქოსოციალური სერვისების მიწოდებას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.



119 ხანდაზმული უზრუნველყოფილია სახლზე ზრუნვისა და სასურსათო დახმარების კომპლექსური სერვისებით.



განვითარების საჭიროებების მქონე 65 ბავშვი იღებს აღრეული ინტერვენციისა და ოჯახური მხარდაჭერის ინდივიდუალურ სერვისებს.



514 ადამიანს მიეწოდა მომსახურება ძალადობის პრევენციის, ცნობიერების ამაღლებისა და მხარდაჭერის სერვისების ფარგლებში.



აჭარაში, სამეგრელოსა და გურიაში შეიქმნა 29 თემზე დაფუძნებული თვითდახმარების ჯგუფი, რამაც გააძლიერა ადგილობრივი პრევენცია და თემის ჩართულობა.



301 მოწყვლად ადამიანს გაენია ფსიქოსოციალური მხარდაჭერა “ფულადი დახმარება და ზრუნვა” პროექტის ფარგლებში.



დაინერგა ახალი სასწავლო მოდულები, მათ შორის: პირველადი ფსიქოლოგიური დახმარება (PFA), გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის გაგება, კომუნიკაციის უნარები და სტრესის მართვა, რაც ავსებს უკვე არსებულ პირველადი დახმარებისა და კატასტროფის რისკის შემცირების (DRR) ტრენინგებს.



მედია გაუშვების საშუალებით ინფორმაცია 12 000-ზე მეტ ადამიანს მიეწოდა, ხოლო ციფრული ცნობიერების ამაღლების კამპანიების მეშვეობით – 21 000-ზე მეტს.

ASB Georgia

 Read the Report in English

Wir helfen
hier und
jetzt.

